№ 263 დეკემბერი 11, სამშაბათი 1890 დეკემბერი 11, სამშაბათი № 263

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველი პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებს და თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტისშობის თთვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევსკის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირალოვის შენობის კუთხეში, ნემენცების ქუჩისა და ეიგუშინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ შეწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მივიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—2) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

ბენეფისი არტისტის დ. მ. აწყურელისა

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

„ციმბირელი“

კომ. 4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.

მოქმედება 1.	მოქმედება 3.
მაზუთიანის ავაზაკობა.	კაკაბელი პეტუას სიყვარული.
მოქმედება 2.	მოქმედება 4.
ციმბირელის (ივანე უსტაბაშის) დაბრუნება ციმბირიდგან.	ღვთის სამართალი, ანუ ავაზაკ მაზუთიანის დასჯა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, იოსელიანისა, მშინაროვისა, ციციშვილისა; ბბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამრეკლიძე, ადამიძე, კოპაძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 11 დეკემბერს,

ბენეფისი

ორკესტრის დირიჟორის ბ-ნ სტუპელისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ორი ობოლი

დრამა 5 მოქ., თარგმ. ა. ცაგარლისა.

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა; ბ ნნი გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი საფაროვი და სხვ.

ორკესტრი დაუკრავს სხვა-და-სხვა ახალს პიესას.

დასაწყისი 8 საათზე

ახალი ამბავი

⁂ გუშინ წინ, 9 დეკემბერს, სულ ერთიანად დასრულდა მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანი. არჩევანი დაიწყო 10 საათზედ. მცირეოდენს ხანს კრება წარსულ კრების ოქმის შესახება ჰლაპარაკობდა და მერე კენჭის ყრას მიჰყვეს ხელი. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სულ 28 კანდიდატი იყო წარსულს კრებაზედ დასახელებული 14 ხმოსნის ამოსარჩევად. ამ 28-ში ოთხმა უარი სთქვა: პ. კ. მელიქ-კარაკოზოვმა, მ. ი. დოლუხანოვმა, მ. დ. როტინიანცმა და დ. გ. ბერიძემ. ამათ მაგიერ კენჭი ეყარა თ. დ. ა. ფაღლენიშვილს, ი. ო. იოსელიანს, გ. მ. ქიქოძესა და ა. ი. არჯევანიძეს. ხმოსნებად ამორჩეულ იქმნენ: 1) პ. ს. ვასილიევი, 2) ვ. ა. ბოლგარსკი, 3) ფ. კ. ვეტცელი, 4) ი. კ. დოლინსკი, 5) თ. დ. ა. ფაღლენიშვილი, 6) ი. ს. ბუღდანოვი, 7) თ. დ. ზ. ბარათაშვილი, 8) ვ. ა. სარაჯიშვილი, 9) ა. პ. სარაჯიშვილი, 10) ა. ი. ბაქრაძე, 11) ა. ე. პაშკევიჩი, 12) თ. გ. ს. ციციშვილი, 13) ნ. ი. არჯევანიძე და 14) ლ. კ. მამაცაშვილი. არჩევანი ნაშუადღევის ორ საათსა და 30 წუთს დაბოლოვდა.

⁂ კნ. ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილისას, თავმჯდომარეს მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისას ტფილისში უკვე მიუღია ნება-რთვა სამაგალითო სასწავლებლის დაარსებისა ქართულ და სომხურ განყოფილებებითურთ. ამ საზოგადოებამ ასეთის სასწავლებლის დაარსება წარსულს ზაფხულს გადასწყვიტა თავის წევრთა საზოგადო კრებაზედ და თხოვნაც მაშინვე მიართვეს მთავრობას ნება-რთვის მისაღებად.

⁂ გუშინ-წინ, 9 დეკემბერს, ქართულს თეატრში არტისტ-ქალის ნ. მ. გაბუნიას საბენეფისოდ დანიშნული იყო ა. ცაგარლის ახალი დრამა „ქართველი დედა.“ წარმოდგენაზედ დიდძალი ხალხი დაესწრო,—მთელი თეატრი გაჭედილი იყო მაყურებელ საზოგადოებით. მობენეფისეს საკმაოდ ბევრი საჩუქარი მიართვეს. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. დაწვრილებით შემდეგ.

⁂ ტფილისის პოლიციამ ოფიციალურად შეატყობინა ტფილის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებას, რომ ტფილისში ყვავილი მძვინვარებსო. ამის გამო სამკურნალოს გამგეობამ მისწერა ტფილისის საქალაქო გამგეობას, რომ, რადგანაც ტფილისის ქალაქის საავადმყოფოში არ არის ალაგი ყვავილით ავადმყოფების დასაწოლად, გთხოვთ რაიმე სადგური იშოვნოთ, რათა ყვავილიან ავადმყოფების დაბინავება იქმნას შესაძლებელიო. მისწერა-კი, მაგრამ ქალაქის გამგეობა ჯერაც არასა ჰფიქრობს ამის შესახებ.

⁂ ამ მოკლე ხანში, რაც პროფესორმა კოხმა გამოიგონა წამალი სიჰლექის მორჩენისა, ექიმთ გარდა, მრავალი ჰლექით ავადმყოფი გაემგზავრა ამ სიცივეებში ბერლინისკენ. გერმანიაში წასასვლელად ჯერ სულ 135 პასპორტი აუღიათ ექიმთა და ავადმყოფთ.

ფელეტონი

რწყილმა აქლემი ჰშობა.

(მოთხრობა ილტროვისა)

III*)

რკინის გზაზედ მომხდარს უბედურებას, საბედნიეროდ, მაგდენად საზარალო შედეგი არა მოჰყვა-რა. ზოგიერთი მგზავრი, მართალია, დაშავდა, დაიჭრა, მაგრამ სიკვდილით არავინ მომკვდარა. იქვე მახლობელ ქალაქიდგან ორი ექიმი დაუყოვნებლივ დაიბარეს. მცირედ დაშავებულნი სასტუმროში დააწვინეს და ერთი ექიმთაგანი დააყენეს თავზედ მზრუნველად. გრძნობა-მიხდილი ელენე-კი უფროსის ექიმის სახლში გადიყვანეს, რადგან საფრთხილო მდგომარეობაში იყო.

პროფესორი როდესაც იქ იყო, ავადმყოფის ოთახის გვერდით მეორე ოთახში იდგა. პროფესორიც დაჩეჩქილი იყო, მაგრამ თავის ტკივილს არად იმჩნევდა და როცა გულ-წასული ქალი ხელებზედ ესვენა, იმისი ეფიქრებოდა, იმის დარდსა ჰქონდა გატაცებული. ისე მისცემოდა ამ ნაღველს, რომ ექიმის შესვლაც ვერ გაიგო და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ექიმმა მხარზედ ხელი დაადო.

— აა, თქვენა ხართ, ექიმო! მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა მდგომარეობაშია ავადმყოფი? როდესაც სახე ისე იყო აღელვებულ-აღშფოთებული, რომ ექიმმა თანაგრძნობით შეჰხედა და ხელი ჩამოართვა.

— დამშვიდდით, საფრთხილო არა სჭირს-რა. ალბად შეშინებისა და სისხლით დაცლისაგან თუ წაუვიდა გული. გრძნობაზეა უკვე მოსული. მე ლაპარაკი აღვუკრძალე და დასამშვიდებელი წამალი მივეცი. ეხლა სძინავს. ტლე უნდა დავადოთ შუბლზედ. ჩემის აზრით, ავადმყოფი ისე კარგად იქნება, რომ ხვალვე ფეხზედ დადგება და სახლისკენ წასვლა შეეძლება

— მადლობა ღმერთს! გმადლობთ, ექიმო.

ისე გაბრწყინდა სიხარულით როდესის სახე, რომ ექიმმა გაოცებითა ჰკითხა:

— ყმაწვილი ქალი თქვენი საცოლეა? მომილოცავს, რომ აგეთი კარგი საცოლე გყოლიათ.

— სცდებით, ექიმო. დღეს პირველადა ვნახე ეგ ქალი ვაგონში და სწორედ მომხიბლა თავისის გონიერებითა და სილამაზით. გათხოვილია და შვილებიცა ჰყავს. თქვენ რომ ავადმყოფი აქ მოგყავდათ, მე დეპეშა გავუგზავნე ლეიპციჰს მაგის ქმარს, მაიორ შნიცელს, შევატყობინე ეს უბედურება და ასე ორ საათს შემდეგ აქ მოვა კიდეც.

— შნიცელია მაგის ქმრის გვარი?.. რა სასაცილო სახელია. საკვირველია, რომ ასეთი გამოცდილი ექიმი ვარ და მაინც-კი მოვტყუვდი. ეგ ამბავი რომ არ შეგვეტყობინებინათ, თუნდა დავიფიცავდი, რომ ყმაწვილი ქალი გაუთხოვარი, უქმროა მეთქი. ნახვამდის! დროა სხვა ავადმყოფებსაც მივხედო.

— ნება მომეცით, ექიმო, იმის ოთახში შევიდე რამდენსამე წუთს, დავხედო და დავრწმუნდე, რომ ცოცხალია და არა დაშავებია-რა.

— შეგიძლიანთ, მაგრამ ფრთხილად-კი იყავით, არ გამოაღვიძოთ და დიდხანს ნუ დარჩებით იქ. ნახვამდის.

ექიმმა ქუდი აიღო და გავიდა. წასვლისას ექიმი თავის თავად ჰბუტბუტებდა: „კაი ამბავია, ღმერთმანი! პროფესორი მარწმუნებს, რომ ეგ ქალი ჩემთვის სულ უცხო ადამიანია, დღეს გავიცანიო. ბოლოს საქმე მგონი იქამდე მივიდეს, რომ მაიორისა და პროფესორის წაკინკლავებასაც დავესწრო. დღესავით აშკარა და ნათელია, რომ ე მაგ პროფესორს ყმაწვილი ქალი უყვარს“.

ამასობაში პროფესორი ფრთხილად შევიდა იმ ოთახში, სადაც ელენე იწვა. ყმაწვილი კაცი კარგა ხანს დაჰყურებდა ავადმყოფს. ელენეს მშვიდად ეძინა და მისი სახე ლამაზად მიჰყუდებოდა საწოლის მოაჯირს. სწორედ საუცხოვო იყო თავისის გაშლილის შავის თმებითა და მარჯნის მსგავს ტუჩებით. თავზედ დადებული ტლე თვალებს უფარავდა. როდესაც კარგა ხანს სტკბებოდა მისის ცქერით და თან იმას იმეორებდა, რომ ფიქრიდგან უნდა განვიშორო ეს ქალი, ცოლია სხვისაო. დასასრულ მიუახლოვდა ელენეს, ხელზე ეამბორა და საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდგან, რომ ლეიპციჰის მატარებელს დახვედროდა. ორს საათს შემდეგ რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ ექიმს ავადმყოფის ოთახში ვიღაც სამხედრო წოდების კაცი შეჰყავდა. ადვილად მიახვედრია, რომ ეს კაცი მაიორი იყო. პროფესორმა გადასწყვიტა, კარგა უნდა ვადევნო ამ ვაჟბატონს თვალყურიო. მან ცივად დაუკრა თავი მაიორს და უთხრა:

— თქვენ მგონი ბ-ნი მაიორ შნიცელი ჰბრძანდებით?

მაიორმაც თავის მხრივ მეგობრულად არ შეჰხედა იმ კაცს, რომლის მიზეზითაც იყო იქ მისული,—ტუჩების ამრიზვით გაიღიმა და უპასუხა:

— დიაღ, მაიორი შნიცელი გახლავართ. თუ არა ვცდები, თქვენ მომწერეთ დეპეშა, არა, ბ-ნო პროფესორო?

— დიაღ, დეპეშა მე მოგწერეთ, იმიტომ-რომ არ ვიცოდი, როგორ გადაურჩებოდა თქვენი მეუღლე ავადმყოფობას. ეხლა, მადლობა ღმერთს, საშიშო აღარა არის-რა, მაგრამ ასეთ უბედურებას შემდეგ ვგონებ თქვენვე სიამოვნებით გაუძღვებით თქვენს მეუღლეს სახლში.

მაიორმა ამ სიტყვებზედ პროფესორს პასუხიც არ აღირსა და ექიმს მიუბრუნდა გულ-გრილად:

— მაშ საფრთხილო აღარა სჭირს-რა? გონებაზეა ავადმყოფი, ექიმო? მაგ უბედურების გამო ტვინი ხომ არა აქვს შერყეული?

ასეთი გულ-ცივობა რომ გაიგონა თავისის ავადმყოფის ქმარისა, ექიმმა უგულოდ უპასუხა:

— არა, ბ-ნო მაიორო, თქვენს მეუღლეს თუმცა თავი ჰქონდა დაშავებული, მაგრამ ჭრილობა ჩქარა მოურჩება. ეხლა სძინავს, მაგრამ როცა გამოიღვიძებს, შეგიძლიანთ ჰნახოთ. გირჩევთ-კი, რომ ოჯახში მომხდარი სამწუხარო ამბავი არა გააგონოთ-რა და გული არ აუღელვოთ.

— არ ვიცი, ესიამოვნება თუ არა ავადმყოფს ჩემი ნახვა, მაგრამ ოჯახში მომხდარ სამწუხარო ამბავს-კი რომ არას გავაგონებ, ამ მხრით არხეინად იყავით.

— ვინ იცისო, უპასუხა ექიმმა: ყმაწვილების დედას სულ მცირე ამბავიც ადვილად შეაშფოთებს. მეც შვილების პატრონი ვარ და კარგად მესმის ეს გარემოება.

მაიორს ერთს წუთას გაოცებისაგან ვეღარა ეთქვა-რა. ყმაწვილებიო!

— დარწმუნებულნი-კი ხართ, ბატონებო, კვლავ მიუბრუნდა მაიორი ორივეს: რომ ეგ დედაკაცი მაიორ შნიცელის მეუღლეა? თითონვე გაგიზიარათ ეს გვარი და ყმაწვილების ამბავი?

— რასაკვირველია, თითონვეო, გაჯავრებით უპასუხა პროფესორმა, რადგან მაიორს ტუჩებზედ ღიმილი დაუნახა.

— მაშ კარგი, გმოჩილდებით. მაინც-კი მაჩვენეთ ეგ შნიცელის მეუღლე, ჩემი ცოლი, თუ შეიძლებოდეს.

— მობრძანდით, მკვახედ უპასუხა ექიმმა და კარები გაალო. ყველანი შევიდნენ. ელენეს ის იყო გამოეღვიძ-

---

*) იხ. „ივერიის“ №№ 259 და 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ცეცხლის ჩამქრობ რაზმის განყოფილებას აველაბარში, როგორც შევიტყეთ, გაზაფხულზე გამართავენ.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის გამგეს თანაშემწე ბ-ნი მიხაილოვი, რომელსაც ოჰანეზოვმა სამჯერ რევოლვერი ესროლა კანცელარიაში, ეხლა ისე კარგად არის, რომ ლოგინში წამოწევა და დაჯდომა შეუძლიან დაუხმარებლად. ტყვია ისევ გულში აქვს დარჩენილი, რადგანაც ექიმებს ეშინიანთ ამოღებისა. ფეხიდგან-კი ტყვია თავის თავად გამოვარდნილა და ფეხის ჭრილობა სულ ერთიან მორჩენილია. ნახვრელთან სისხლი აღარ ამოსდის. ექიმებს ეხლა-კი იმედი მიეცათ ბ-ნ მიხაილოვის მორჩენისა.

⁂ ტფილისის გამგეობის კასსაში წარსულს ნოემბერს შესულა სულ 42483 მ. და 17 კაპ. პირველ იანვრიდგან 1 დეკემბრამდე 639719 მ. და 5 კაპ. ამავე დროს ქალაქის გამგეობას ნოემბერში სხვა-და-სხვა საჭიროებაზე დაუხარჯავს 38632 მან. 81 კაპ., პირველ იანვრიდგან პირველ დეკემბრამდე-კი დახარჯულა სულ 635727 მან. და 85 კაპ.

⁂ სოფ. უდე (ახალციხის მაზრა): ჩვენს სოფელში თვე ნახევარია მღვდელი არა გვყავს. ადგილობრივმა მღ. მ. ე—შვილმა აღარ ინდომა აქ სამსახური და ამოდენა მრევლი უწირავ-ლოცველოდ დარჩა. სოფ. უდეს 300 კომლამდე მცხოვრებია, 240 კომლი კათოლიკეა, დანარჩენი მაჰმადიანი. აქ საჭიროა ქართულის ენის მცოდნე მღვდელი, რადგანაც სომხური სრულიად არ გვესმის. გარდა ამისა, მცხოვრებთა რიცხვის შედარებით ეკლესია პატარაა, კვირა-უქმობით ქალით თუ კაცით გაივსება ხოლმე, დედაკაცები ზემოდ ორს ჩარდახში არიან მოთავსებულნი, მამაკაცები—ქვემოდ. სივიწროის გამო ბევრი უსიამოვნება იბადება: ბავშვებს შეჰყრიან ხოლმე მღვდლის შესამოსელს ოთახში (ხორანში), მათ შუა სდგას გრძელის ჯოხით დიაკვანი და წესიერებას იცავს. ზამთარში უფრო უარესია: მთელი ეკლესია ორთქლით, ბუღით სავსეა, მღვდელს ზოგჯერ სეფის-კვერი უდნება ხელში. 7,000 მანეთამდის ახალები აქვს ეკლესიას სოფლისაგან და გულ-შემატკივარი კაცი არ არის, რომ შეჰკრიფოს ფული, გაადიდოს ეკლესია და ამ შეწუხებისაგან დაიხსნას ხალხი.

ამ შემოდგომაზე ჩვენში დიდი ჭირი იყო საქონლისა და დიდი ზარალიც მოიტანა. კომლი არ გადარჩა, რომ ოთხი-ხუთი სული საქონელი არ მოჰკდომოდეთ. ახლა, მადლობა ღმერთს, ჭირი განელდა. მოსავალიც წელს შუათანა მოვიდა. ერთად-ერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა კართოფილი და ხილია, მაგრამ ამათაც ფასი არა ჰქონდა. ადგილობრივ კართოფილი 22 კაპეიკად იყიდება ფუთი. არ ვიცით, ამოდენა სოხრა-სალიანს (ბეგარას), სახელმწიფო გარდასახადს რითი გავუძლევთ.

⁂ 8 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, იარმუკაში ტფილისის მცხოვრებელმა ივანე ოქროპირიძემ ტფილისისავე მცხოვრებელს დიდზურაბოვს აჰგლიჯა 16 მანეთად ღირებული ვერცხლის საათი, მაგრამ მალე პოლიციელმა მოასწრო და შეიპყრო. დამნაშავე გამომძიებელს წარუდგინეს, საათი-კი პატრონს დაუბრუნეს.

⁂ ამ თვის 9 რიცხვზე, სტეფან რემიზოვის სახლში, უეცრად გარდაიცვალა ტამბოვის გუბერნიის 41 წლის გლეხი ხუსიაინ იალიშევი. გარდაცვალებულის გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს ჩუღურეთში პოლიციელმა მელნიკოვმა შენიშნა, რომ ბადუროვის სახლს ცეცხლი უჩნდებოდა, მაშინვე პატრონს შეატყობინა და ცეცხლიც საჩქაროზედ ჩააქრეს.

⁂ ამ თვის 8 რიცხვზე, ჩიქოვანის სახლში, მეტეხის ციხის ზედამხედველს ალექსი კოჩერგინს შერჩეულის გასაღებით სადგური გაუტეხეს, წაიღეს 20 მანეთი და ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა, სულ 70 მანეთისა.

◆◆

ქართული წარმოდგენა

ქუთაისში

ექვსს ამ თვისას, ხუთშაბათს, აქაურმა ქართველმა სათეატრო დასმა წარმოადგინა ოთხ-მოქმედებიანი დრამა ა. ი. სუმბათაშვილისა „ბორკილი“. ამ დრამის წარმოდგენა ქართულს სცენაზე პირველი შემთხვევაა და ამიტომ არ შეგვიძლია მცირეოდენი ყურადღება მაინც არ ვათხოვოთ. თვით დრამის შინაარსისა და ღირსება-ნაკლულევანების შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგანაც „ივერიის“ მკითხველებს, დარწმუნებულნი ვართ, გულ-დასმით აქვთ გადაკითხული ახალგაზრდა დრამატურგის ნაწერი, ხოლო აქ რამდენისამე სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთ მოთამაშეთა ხელოვნება. უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ქ-ნი მ. გ. მესხისა, რომელიც წელს პირველად გამოდის სათეატრო სარბიელზე; ქ-ნი მესხისა ამ პიესაში ასრულებდა ვოლინცევის ასულის ანნას როლს და, მართალი უნდა ვსთქვათ, საზოგადოებამ ახალს მოთამაშეს საკმაო სასცენო ნიჭი და ბეჯითობა შეამჩნია; გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხის კილო, ყოველივე ეს სცენის შესაბამი აქვს და სრული იმედია, რომ ეს ახალგაზრდა არტისტი ქალი, თუ თავისს საქმეს ბეჯითად და სინდისიერად მოეპყრობა და ჯეროვანად ივარჯიშა სცენაზე სცენის მცოდნე კაცთა ხელმძღვანელობით, კარგი და შესამჩნევი მოთამაშე დადგება. ამ ხანად ის უნდა შევნიშნოთ, რომ პიესაში, ზოგს ადგილას, გრძნობის საკმაო სიცხოველე ვერ გამოაჩინა, თითქო მუდამ შიში ჰქონდა, რომ როლი არ გაეფუჭებინა, ყურადღება უფრო იმაზე ჰქონდა მიპყრობილი და ეს ხომ იმით აიხსნება, რომ ქ-ნი მესხისა წელს პირველად გამოდის სცენაზე. რასაკვირველია, რაკი ეს ქალი სცენას შეეჩვევა, მეტს ყურადღებას მიაქცევს თვით როლის უკეთესად გამოხატვას. ბ-ნი ნ. ბადრიძე, რომელიც ვოლინცევის როლს ასრულებდა, ამ გზობით ჩვეულებრივზე უფრო კარგი სანახავი იყო: ეტყობოდა, რომ ამ მოთამაშეს მეცადინეობა არ დაუკლია, რომ როლი შეეგნო და კარგად შეესწავლა, და უნდა ვსთქვათ, მისს მეცადინეობას ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია: ზოგი ადგილი თავისის როლისა ბ-ნმა ბადრიძემ კარგად შეასრულა. ამ მოთამაშეს უნდა შევნიშნოთ, რომ შესაფერი გრიმი ვერ გაეკეთებინა და მეტის-მეტად ყმაწვილ კაცად მოსჩანდა სცენაზე: ოც-და-თხუთმეტის წლისა მაინც უნდა ყოფილიყო და ის-კი ოც-და-ოთხის, ოც-და-ხუთის წლის კაცს უფრო ჰგვანდა. რაც შეეხება ქ-ნს ევ. ნ. ჩხეიძისას (ანფისა ანდრიას ასული გარანინისა), მ. ჯა—იანს (ანდრია ხვოროსტნევი), უნდა ვსთქვათ, რომ ერთიცა და მეორეც მეტის-მეტად აზვიადებდა თავისს როლს; პირველი მეტის-მეტად ანჩხლობდა, კაპასობდა და იგრიხებოდა, ხოლო მეორე მეტის-მეტად ცახცახებდა და ხმას იწვრილებდა; ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ერთსაცა და მეორესაც საკმაო ნიჭი ეტყობათ და კარგადაც შეუძლიანთ თამაშობა, რომ საქმეს გულდასმით მოეკიდებოდნენ. ორიოდე სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ ახალი მოთამაშე ბ-ნი ბ. ბოლქვაძე (ევტიხი კურჩინი). ამ მოთამაშეს ნამეტნავად ეტყობოდა, რომ პირველად გამოდის სცენაზე, მაგრამ ისიც ემჩნეოდა, რომ საქმისათვის ბეჯითობა არ დაეკლო და შესაძლოა საჭირო მოთამაშე დადგეს ჩვენის ღარიბის სცენისათვის. დაგვრჩა ქ-ნ ეფ. მესხისა (ვოლინცევის ცოლი) და ბ-ნი კ. მესხი (პრიპორიევი), მაგრამ ამათზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც საკმაოდ ცნობილნი არიან. უნდა დავუმატოთ, რომ ამ საღამოს ჩვენმა საზოგადოებამ დაინახა სცენაზე ერთი ჩვენი ძველი ნიჭიერი მოთამაშე ქალი, ანნა პეტრიაშვილისა, რომელიც ეს ათიოდე წელიწადია, სცენაზე არ გამოსულა.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდად კმაყოფილი დარჩა; ეტყობოდა ჩვეულებრივზე უფრო ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოთამაშეთა და პიესის შინაარსს, ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ვაჟბატონი, შეცდომით შემოსული თეატრში, მართებულად არ იქცეოდა: არ დაგიდევდნენ არც ზრდილობას და არც წესიერებას. პოლიციამაც არავითარი ღონის ძიება არ იხმარა, რომ წესიერება დაეცვა.

ა. ნა—ლი

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ცხინვალი, 4 ქრისტეშობისთვე. დღეს გათავდა ჩვენში ახალის ჯარის კაცების მოწვევა; წაიყვანეს ორმოც-და-ათი სულ მოსხლეტილი, ტალიკ-ტალიკა ბიჭები, რომელნიც ისე თამამად, ყოჩაღად და მოურიდებლივ დასხდნენ თავიანთ ბედსა

ნა. ექიმი საჩქაროდ მიუახლოვდა ავადმყოფს და უთხრა:

— ჩემო ბატონო, აგერ ქმარი მოგიყვანეთ. დეპეშა მივწერეთ ლეიპციგში და მაშინვე მოვიდა.

ამ სიტყვებამდე ელენე ექიმის მეტს არავისა ჰხედავდა, ეხლა-კი ყველაფერს მიჰხვდა.

— ჩემი ქმარი! ოჰ, ღმერთო! ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა და სულ ერთიანად აკანკალდა. ამასობაში ექიმი-კი კარებთან აყუდებულს მაიორს უქნევდა ხელს, მოგვიახლოვდიო. ელენემ საშინლად შეჰკივლა, სიმწარით გაასავსავა ხელები, თითქოს შველასა სთხოვს ვისმე და თან ჰბუტბუტებდა: შორს, შორს ჩემგან!

მაიორმა თანაგრძნობით შეჰხედა ავადმყოფის ლამაზსა და ფერ-მიმკრთალს სახეს და კვლავ კარებთან მიდგა. საკვირველია! ისე მოეწონა ეს ქალი, რომ გაიფიქრა კიდეც: მართლაც კარგი იქნება, ამისთანა ცოლი რომ მყავდესო.

დიდხანს არ გასტანა ამ ფიქრმა. ამ დროს ვიღაცამ მაგრად ჩაავლო ხელები და ავადმყოფის ოთახიდგან ექიმის სამუშაო ოთახში გამოაგდო. მაიორის წინ განრისხებული პროფესორი იდგა.

ამ დროს ექიმი ყოველის ღონისძიებით სცდილობდა ელენეს დამშვიდებას.

— ნუ აღელვდებით, დაწყნარდით. თქვენი შვილები მაინც შეიბრალეთ. თუ მაიორის აქ ყოფნა არ გინდათ, ისევ წავა ლეიპციგში. მე გწამლობთ და ნებას არავის მივცემ, რომ გაწყენინონ რამე.

ექიმის სიტყვებმა ელენე ვერ დაამშვიდა, პირ-იქით, ყმაწვილი ქალი უფრო მეტად აღელვდა. ისე ქვითინებდა ავადმყოფი, ლამის გული გახეთქოდა. ბოლოს ექიმმა იმედი დაჰკარგა მისის დამშვიდებისა და გაჩუმდა.

ამ დროს ოთახში ჩქარის ნაბიჯით შემოვიდა მაღალის, წერწეტა ტანის ყმაწვილი ქალი, მიუახლოვდა ელენეს, გადაეხვია და უთხრა:

— ელენე! ჩემო საბრალო ელენე, რა დაგმართვია?

— ემმა! საყვარელო ემმა! რა კარგი ჰქმენ, რომ მოხვედი. ეხლა ყველაფერი მორიგდება.

— შე საბრალოვ, შენა! ალერსით უთხრა მეგობარმა: განა წარმოიდგენდი, თუ ასეთს უბედურებას წააწყდებოდი? ამ უბედურების ამბავი ბიძაჩემმა შემატყობინა, პოლიციის უფროსმა. იცოდა, რომ ამ მატარებლით წამოხვედი და დეპეშა მომწერა. მითხრეს, რომ გრძნობა-მიხდილი იყო, მაგრამ, ექიმის წყალობით, ეხლა უკეთ არისო. რაღა გატირებს ნეტა? გამაგებინე ერთი, თუ ღმერთი გწამს, რა დაგმართვია! განა ისე გაწუხებს ეგ ჭრილობა?.. ნება მომეცით გაგეცნოთ: ემმა ვარენი გახლავართ, მეგობარი თქვენის ავადმყოფისა. ამიხსენით, ექიმო, რა მდგომარეობაშია სნეული.

— დიდის სიამოვნებით. ავადმყოფი ძალიან კარგად არის. მართალია, ლეიპციგიდგან მოსულმა ქმარმა ცოტა არ იყოს აღელვა მაიორის მეუღლე, ქ-ნი შნიცელი, მაგრამ ეხლა-კი, რაკი თქვენ მობრძანდით, იმედია, ეს აღელვებაც გაუვლის და სულ ერთიანად დაწყნარდება.

ემმა გაოცებისაგან პირ-დაღებული იდგა. ასე ეგონა, კარგად ვერ გაიგონე ექიმის სიტყვები, სხვა რამ თუ შემომესმაო, და კვლავ დაეკითხა:

— თქვენ მგონი რაღაცა ჰბძანეთ ბ-ნ შნიცელის შესახებ, ჩემის მეგობრის ქმრისა. ნუ თუ მართლა აქ არის ამ ქალის ქმარი?

— დიაღ, ებრძანე. რა ვქნა, ეს რა ამბავია! მოუთმენლად წამოიძახა ექიმმა: განა გიკვირთ, ჩემო ბატონო, რომ ცოლის უბედურება ქმარს შევატყობინეთ და ქმარიც მაშინვე მოვიდა? პროფესორმა როდიცმა მისწერა დეპეშა ლეიპციგში მაიორ შნიცელს. რა არის ნეტა აქ გასაკვირველი?

ემმამ, პასუხის მიცემის მაგიერ, ისევ იკითხა მხიარულად:

— მერე ვინ შეგატყობინათ ეგ სახელი? განა თვით ჩემმა ამხანაგმა სთქვა, რომ მაიორ შნიცელის ცოლი ვარო?

— რაღა თქმა უნდა, რომ ეგ იტყოდა. ეგ სახელი ავადმყოფს პროფესორ როდიცისათვის ეთქვა, როცა რკინის გზით ერთად მოდენილიყვნენ. გარწმუნებთ, ეს ამბავი როგორღაც მეტად ახირებული ამბავია, ახირებულზედ უარესიც. აქ ეშმაკიც ვერ გამოხსნის კვანძს, ისეა თავი და ბოლო ერთმანეთში გადახლართული. მაგრამ ეჰ, მე რა მესაქმება ნეტა...

ექიმმა გაჯავრებით მიიბრუნა პირი. რამდენსამე წამს მეგობარი ქალები ხმა-ამოუღებლივ ერთმანეთს შესცქეროდნენ. ბოლოს ემმამ მაცდურის ღიმილით თავი დაუკრა ექიმს და უთხრა:

— ნება მომეცით, ექიმო, რომ მცირეოდენს ხანს მარტო დავრჩე ავადმყოფთან. თუმცა დიდს პატივსა ვცემ თქვენს ცოდნასა და ხელოვნებას, მაინც მგონია, რომ ჩემს მეგობარს ეხლა მკურნალზედ მეტს სამსახურს მე უფრო გავუწევ.

ყმაწვილი ქალი ისე ცბიერად შესცქეროდა ამ ლაპარაკის დროს, რომ ექიმს გული მოუბრუნდა და ღიმილით გაუშვირა ხელი.

— ძალიან კარგი! თქვენისთანა ამხანაგს სიამოვნებით დავუთმობ ჩემს ავადმყოფს. მაშ აბა, თამამად მიჰყავით საქმეს ხელი.

— ერთი თხოვნაც, ექიმო! ნუ გაჰკიცხავთ მაიორს, თორემ შემდეგ სანანურად გაგიხდებათ.

ემმამ სიცილით დაუქნია თითი და დაუმატა:

— ჩქარა მოვალ თქვენთან, მანამ-კი ნურც პროფესორსა და ნურც მაიორს ჩემის მოსვლის ამბავს ნუ ეტყვით.

გაიხურა თუ არა ექიმმა კარები, ორივე ყმაწვილი ქალი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ცრემლ-მორეულთ სიცილი დაიწყეს. ელენემ მოგზაურობის ამბავი მოუთხრო ემმას, შეატყობინა, რომ მე და პროფესორს საუცხოვო მასლაათი გვქონდა, შენმა სიცრუემ ეს ხათაბალა დამატეხა თავსაო, და ასე დაასრულა თავისი ალსარება:

— დამიხსენ როგორმე, ემმა. შენ ასტეხე თავი და შენვე მოუღე ბოლოც. მომაშორე აქედგან ეგ მაიორი და პროფესორ როდიცსაც ყველაფერი აუხსენი.

ყმაწვილმა ქალმა პირი იქით მიიბრუნა, რომ აღელვება არა შემეტყოს-რა სახეზეო.

— აუხსენი, თორემ ძალიან მეწყინება, თუ მაგ კაცმა ცუდი რამ იფიქრა ჩემზედ.

— ძალიან გეწყინება? საკვირველია. კარგია, დამშვიდდი, მე ვიტვირთებ ამ ცოდვას. ჩემის აზრით, მაიორის გასჯისთვის ვალდებული ხარ ქმრად შეირთო.

ელენემ გადიხარხარა.

— ძალიან კარგი, მაგრამ მე რომ მკითხო, ეგ ვალდება ისევ შენ უნდა იკისრო. ელენემ ცბიერად შეჰხედა ემმას და ემმამ-კი ხუმრობით ხელი დაჰკრა მხარზედ.

— ყველა კარგი, მაგრამ ის საბრალო მაიორი უნდა გამოვიხსნათ გაჭირებისაგან. წარმომიდგენია, რა ქადაგებას არ უკითხავენ ეხლა პროფესორი და ექიმი. პირობა მიეცი, რომ ჩქარა მოვალ-მეთქი. დროა.

ემმამ ერთი კიდევ აკოცა ელენეს და გავიდა.

ელენემ მძიმედ ამოიოხრა. ყმაწვილი ქალი სიამოვნებით იღიმებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იღბალს, რომ თავიც არ მოუფხანიათ.

მორიგის ჯარის კაცების მოკრება ჯერ იმოდენად ახალი საქმეა ჩვენში, რომ ძნელია კაცმა ეხლავ აღნიშნოს, რა ფერი დასდო ამ რთულმა და მეტად მრავალ-მნიშვნელოვანმა რეფორმამ ჩვენის ხალხის ცხოვრებას, როგორ შეცვალა ზნე, ჩვეულობა და გონების მიმართულობა, მაგრამ ის-კი აშკარაა, რომ ამ რეფორმის წყალობით, ბევრნაირად იცვალა თავი ქართველის კაცის ბუნებამ და ნიჭმა. რომ ჩვენი კაცი დასაბამიდამ მეომარი ყოფილა, თავ-განწირული დამცველი თავის რჯულისა და სამშობლოსი,— იმაში ეჭვიც არავის შეუტანია, მაგრამ ის-კი, რომ ქართველი კაცი ასე მოიხერხებდა და ასე ადვილად შესძლებდა ეხლანდელს „სალდათობას“—ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა და ბევრს სულაც არა სჯეროდა. დღეს-კი ვხედავთ, რომ ქართველი კაცი ძლიერ კარგად შესჩვევია და მოუხელებია „ყაზარმაც“ „დისციპლინაც“, „ნაჭლეჩობაც“. „ქაშიც“, „ფელდ-ფებელიც“, და აი ისე რიგიანად და გონივრულად ასრულებს თავის სამსახურს, რომ სამაგალითო ჯარის-კაცად ითვლება. ამასთანავე ლაპარაკობს რუსულად, სწერს და კითხულობს, მღის, სწმენდავს და მშვენიერად ხმარობს სხვა-და-სხვა სისტემის თოფებს, და ხშირად იმასაც შეხვდებით, რომ ვინმე ან თევდორე ან სესიკა, ისე ლაზათიანად გაჭყვირის კლარნეტზე, ან ტრომბონზე შტრაუსის ვალსს,—რომ თქვენი მოწონებული!..

მოდის შინ ეს განათლებული და ისევ ის თომაა, ისევ იმ ტყავში: ისევ ბაგა, ისევ გუთანი, ისევ თერგულა, ისევ ის დაწყევლილი პელუა და ბოლოს ისევ ეს ჭეშმარიტი სიტყვები პოეტისა, რომ

Вынесъ онъ эту дорогу желѣзную,—
Вынесетъ и все,—что Богъ ни пошлетъ!

შესანიშნავია ისიც, რა ღვთის ანაბარად, ადვილის გულით მიდის ჩვენი კაცი კენჭის ამოსაღებად. წლეულს ჯავის ხეობაზე, სურამს და ცხინვალში ათას ხუთასზე მეტი სული იყო მოწოდებული საჯარის-კაცო და არც წლეულს და არც წარსულს წლებში მაგალითი არა ყოფილა, რომ ვისმეს, თუ კანონიერი საბუთებით არა, სხვა რამე ცუღლუტობით მოერიდებინოს თავი კენჭის ამოღებისათვის სასამართლოს, მატიანები ამბობს და მეტობითაც მოგვითხრობენ, რომ სხვაგან ჯარის-კაცად გაყვანას ისე ერიდებიან, რომ თავის დამახინჯებასაც (Членовредительство) ერიდებიან და სხ. ამ გვარს მატყუარობას ხომ ანგარიში არა აქვს, რასაც იქ ხმარობენ, ოღონდ-კი კენჭი აიცილონ.

ვიდრე კომისია არჩევდა ეხლანდელ მოწვეულ ჯარის კაცთა სიებს, ცხინვალში დიდძალი ხალხი იყო ჩამოსული ახლო-მახლო სოფლებიდამ, ზოგნი იმიტომ-რომ ეს ახალი საქმე გაეცნო, ზოგს თავისიანი ჰყვანდა საკენჭოდ მოწოდებული და იმას გამოჰყვა და ზოგიც კიდევ, ეშმაკმა იცის, ვის გამოჰყვა და რათ გამოჰყვა. ასე იყო თუ ისე, ხალხი ბლომად შეიკრიბა და ამათ ლხინს, ლოთობას და დუქნებში უსარგებლო ხარჯს ერთი საქმეც მოჰყვა საკეთილო. ამ კეთილის საქმისათვის მადლობელნი უნდა ვიყოთ პატივცემულ ქ. ქეთევან ყურულისა, რომელიც ცნობილია, ვითარცა მხნე მოღვაწე, ყველა ჩვენს საქველ მოქმედო საქმეებში. ეს კეთილი საქმე გახლდათ წარმოდგენა 2 ამ თთვისას რ. ერისთავის „ადვოკატების“, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ეს პიესა დიდი განძი არის ჩვენს სათეატრო რეპერტუარში, მთლად აშენებულია იმ გაიძვერა და ხალხის მატყუარათ მოქმედებაზედ, რომელთა სახელით თვით კომედიაა მონათლული და რომლებითაც ჩვენი საცოდავი ცხინვალი Кишмя кишитъ, როგორც რუსები იტყვიან. დაიწყო რეპეტიციები თ. ზ. მაჩაბლის რეჟისორობით და დახმარებით, და სწორედ რომ მეხივით დაგვეცა ამ დროს თავზე სამწუხარო ამბავი კნ. ელენე ლორთქიფანიძის გარდაცვალებისა. მაშინვე მოწერილ იქმნა სამძიმრის დეპეშა განსვენებულის მეუღლესთან და შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელზედაც ნათესავთა და მეგობართ გარდა, დაესწრო დიდძალი რიცხვი განსვენებულის ელენეს პატივის-მცემელთა.

წარმოდგენა გადიდო რამდენისამე დღით და, თუ სრულიად არ ჩაიშალა, იმიტომ რომ ბილეთები დაყიდული იყო და მთლად შემოსავალიც წარმოდგენისა დანიშნული ისეთის საგნისათვის, რომელისთვისაც ასე ნაყოფიერად იღწოდა თავისს ხან-მოკლე სიცოცხლეში განსვენებული ელენე. წარმოდგენიდგან წმინდა შემოსავალი დარჩა რვა თუმანი და ორი მანეთი, რომელიც ქ-ნმა ყურულისამ მაშინვე გაუგზავნა, დანიშნულებისამებრ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.“ წარმოდგენაზე დაესწრო დიდძალი ხალხი და სიამოვნებითაც გაატარა ეს საღამო. თვით პიესა ითამაშეს თითქმის უნაკლულოდ, მწყობრად და იშვიათის ანსამბლით. მოთამაშეთა შორის მეტად ირჩეოდა თ. ზალ. მაჩაბელი რომელსაც ცხადად ეტყობოდა, რომ სცენა იმის სფერა ყოფილა და არის კიდეც. დანარჩენი მოთამაშენი იყვნენ სცენის მოყვარენი ქ. კნ. ეფ. მაჩაბლისა (ამაყამის ქალი) ნ. ყურულისა (მაჭანკალი) ეკ. იარალოვისა (კნ. თეკლე) ბ-ნი ე. ყურული (მღდელი) ივ. მაჩაბელი (ბრუნდაძე) ხიმშიაშვილი (გლეხი თევდორე) და სხვანი. შორს წავა საქმე, რომ ითქვას რამე ამათ ცალკ-ცალკე თამაშობის შესახებ, საერთოდ-კი ეტყობოდათ, რომ, არამც თუ როლები გაეზეპირებინათ, არამედ შეეგნოთ და შეესწავლათ კიდეც ის ტიპები, ვის მაგიერათაც სცენაზე ლაპარაკობდნენ. ეს დიდი ღირსებაა მოთამაშესთვის და ამ მხრივ კნ. ეფ. მაჩაბლისათვის სწორედ რომ თვითონ ღმერთს მიუმადლებია ნიჭი.

თავ-მოყრილს საზოგადოებაში მთელ საღამოს „ბრავოს“ ძახილი და ტაშის კვრა არ შეწყვეტილა. ღირსნიც იყვნენ მოთამაშენი ასეთის პატივის ცემისა, მაგრამ (ჩვენში-კი დარჩეს და) მეტად მალი მალ გამოდიოდნენ თავის დასაკვრელად... თერთმეტ საათზე წარმოდგენა გათავდა და საზოგადოებაც დაიშალა იმ იმედით, რომ კიდევ მალე ეღირსება ამისთანა დროს გატარებას, ღმერთმა ჰქმნას!

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის ერთ-ერთს ნომერში ადგილი მისცეთ შემდეგს:

2 დეკემბერს, 1890 წელს, ღ. ცხინვალში წარმოდგენილი იყო თ. რაფ. ერისთავის სამ-მოქმედებიანი კომედია „ადვოკატები“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. გაყიდულ ბილეთებისა და ბუფეტისა შემოვიდა 92 მან. 98 კაპ. აქედგან დაიხარჯა:

ბუფეტის გამართვაზედ. .	5	65
სცენის გამართვა, სკამების გადატან-გადმოტანა და განათება	3	48
მსახურს.	1	„
სულ დაიხარჯა	10	13
წმინდა შემოსავალი დარჩა	82	85

გიგზავნით ამ ფულს და გთხოვთ ზემოხსენებულის საზოგადოების კანცელარიას გადასცეთ.

დიდის მადლობის ღირსნი არიან: კნ. ეფემია, თავ. ივანე და მიხ. მაჩაბელნი, ეკატერინე იარალოვის ასული, ზაალ მაჩაბელი, მ. ბაქრაძე, ი. ხიმშიაშვილი, ნ. დეკანოზიშვილი, ი. მაჩაბელი, ღ. ქონიევი, ნინო და გიორგი ყურულები, რომელნიც თავიანთის შრომით და მეცადინეობით იყვნენ მიზეზნი, რომ საღამომ კარგად ჩაიარა.

„წერა-კითხვის გამავრცელებლის
საზოგადოების“ აგენტი
ქეთევან ყურულისა

5 დეკემბერს
ღ. ცხინვალი

◆◆

წვრილი ამბები

ნიკარაგუაში ერთი ცეცხლის მფრქვეველი მთაა, სახელად მონვახო, რომელიც დიდი ხანია, რაც შესდგა და არა თუ ცეცხლს არ ამოფრქვევდა, კომლიც-კი აღარ ასდიოდა. ეხლახან უეცრად ისევ დაიწყო ფრქვევა, ცეცხლი კვლავ ამოვარდა და ისე საშინლად შეანძრია მიწა, რომ ხუთი ქალაქი დაანგრია. უბინაოდ დარჩენილი მცხოვრებნი სხვა ადგილებში გაიხიზნენ.

— სირიასა და არაბეთში ხალხის პირველი გასართობი აქლემების ჭიდაობაა. ამბანვში საჭიდაოდ განსაკუთრებით ერთის ჯიშის აქლემს აშენებენ მეტად ღონიერსა და მარდს. წარსულ მარტის უკანასკნელს რიცხვებში სმირნაში გაჰმართეს აქლემების ჭიდაობა. გამოიყვანეს აქლემი „მეიმა“ სირიიდგან მოყვანილი და „კარანტაკი“—ქურთოვიდგან. სეირის საყურებლად აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ეცნენ ერთმანერთს აქლემები, შედგნენ ყალყზე და ბრძოლა დაიწყეს; კარგა ხანს იბრძოლეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დასჯაბნა. ბოლოს „მეიმამ“ უეცრად აიცდინა მოწინააღმდეგეს სარძა, თითონ გვერდზე ღონიერად შემოჰკრა და გადააქცია „კარანტაკი“. ხალხმა საშინელი ტაშის კვრა და ყვირილი ასტეხა. საჩუქრად „მეიმას“ პატრონმა დაჯაბნული აქლემი მიიღო.

და ოცნება აღფრთოვანებული შესცქეროდა ფანჯარიდგან ხეხილების მწვანე შტოებს.

ამ დროს განმავლობაში-კი მაიორსა და პროფესორს ისეთი გამწვავებული ლაპარაკი მოუხდათ, რომ ლამის ჩხუბად გადაქცეულიყო ეს ატეხილი უსიამოვნება. პროფესორი ცხარედ უსაყვედურებდა მაიორს, რომ გულ-ცივი ადამიანი ყოფილხართ, უდიერად მოექცით თქვენს ავადმყოფ ცოლსაო. თავის მხრივ მაიორიც წიწმატდებოდა. იგი ჰფიქრობდა თავის თავად, ქმარიც რომ ეყოფილიყავი იმ ქალისა, ნებას არ მივცემდი ვიღაც უცხო პროფესორს, რომ ჩემს საქმეში გარეულიყოო. მაიორის მიერ თქმულმა სიტყვებმა, რომ „ეგ თქვენი საქმე არ არისო“, საშინლად აღელვა პროფესორი. მოლაპარაკენი ერთმანეთს უფრო და უფრო უხირდებოდნენ და ჩხუბი ბეწვზედ-ღა ეკიდა. სწორედ ამ დროს შემოვიდნენ ექიმი და ემმა.

როდიცი საჩქაროდ მივიდა ყმაწვილ ქალთან და ხელი დაუჭირა.

— მადლობა ღმერთს, რომ მობრძანდით! თუ ღმერთი გწამთ, დაარწმუნეთ ეს თქვენის მეგობრის მეუღლე...

— მეგობარიო? გაოცებით წამოიძახა მაიორმა: ამიხსენით ერთი ჩქარა ეს ახირებული ამბავი.

ემმამ მხიარულად გადიკასკასა და თან ცბიერის თვალებით შესცქეროდა ხან პროფესორსა და ხან მაიორს. მერე მძიმედ დაუკრა თავი:

— ბატონებო! ჯერ ნება მომეცით გაგეცნოთ—ემმა ეარენი გახლავართ, საუკეთესო მეგობარი ჩვენის ტურფა ავადმყოფისა, რომლის გამოც ეკინკლავებით ერთმანეთს.

— მაპატიეთო... დაიწყო პროფესორმა.

— დიაღ, გეპატიეთ, რომ ორივეს დაგვავიწყდა და ვერ გაგეცანით, დაასრულა მაიორმა.

— ბოდიშის ხდა მეტია, ბატონებო! ელენემ ორივე გამაცნო. თქვენი სახელი, ბ-ნო პროფესორო, დიდი ხანია ვიცი. ჩემისთანა უვიცმა არსებამაც-კი იცის გამოჩენილ მოგზაურის სახელი. თქვენი კეთილ-ხმოვანი გვარი-კი, ბ-ნო მაიორო, დღეს პირველად გავიგონე.

— პირველადაო? როგორა მერე? გაოცებით იკითხა პროფესორმა: ნუ გვეხუმრებით, თუ ღმერთი გწამთ.

— სულაც არ გეხუმრებით. მართალია, ელენე ჩემი მეგობარია, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩემი მეგობარი ცოლი იყოს უმიზეზოდ წამებულის მაიორისა.

ემმამ გაიცინა და ალერსიანად შეჰხედა უცბად გამხიარულებულს მაიორს, რომელმაც მადლობით დაუკრა თავი ყმაწვილს ქალს და ხელზედ აკოცა.

— არა მესმის-რა, ეს საქმე ჩემთვის ბნელიაო, უკმაყოფილო კილოთი სთქვა პროფესორმა: ბატონებო, თქვენა ჰხუმრობთ და მე-კი... მე-კი...

— თქვენ-კი კეთილი მაიორი მტარვალად მიგაჩნიათ და მე სულელად. ასეა განა? შეგვინდეთ, ბ-ნო პროფესორო. საყოველთაოდ გიცხადებთ, რომ ელენე ელდენს ქმარი არა ჰყავს.

— ქმარი არა ჰყავს... მხიარულად განიმეორა პროფესორმა და აღელვებისაგან ამის მეტი ველარა სთქვა-რა. მერე უცბად წამოიძახა: მაშ რად მომატყუა, ბ-ნმა ელენემ?

— ნუ აჩქარდებით, ბ-ნო პროფესორო, წყნარად! ცოლს ნუ დაიდებთ და სულ უბრალოდ ნუ გაჰკიცხავთ ეხლა ელენეს, ისე, როგორც წელან საბრალო მაიორსა ჰკიცხავდით. ელენეს ბრალი არა აქვს და ისიც საკმაოდ დაიტანჯა ჩემის მოუფიქრებელის ხუმრობის გამო. მე ვარ აქ ერთად-ერთი ცოდვილი და მევე მოვინანიებ შემდეგ ამ ცოდვას. ეხლა-კი თქვენა და მაიორი უნდა შერიგდეთ.

პროფესორი და მაიორი ერთმანეთს მხიარულად მიუახლოვდნენ და ხელი ჩამოართვეს.

— კარგი, მაგრამ მეცა და ყველა აქ მყოფსაც დაწვრილებით გვინდა შევიტყოთ ეს ამბავი. ხოლო რადგან ეხლა სადგურზე წასვლა მიმეჩქარება, დღეს საღამოზედ ყველანი ჩემთან დამიპატიჟნიხართ, ბატონებო. მე ელენე ელდენსაც-კი ნებას მივცემ იქ დაესწროს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბევრი არ ილაპარაკოს.

ექიმის სტუმრობაზედ ყველა სიამოვნებით დათანხმდა.

იმის წასვლის შემდეგ მაიორმა და ელენემ ერთმანეთში მხიარული მასლაათი გააბეს და პროფესორი-კი იმ ოთახისკენ გაეშურა, სადაც ელენე ფანჯარასთან იჯდა. ყმაწვილი ქალი წითელს ბალიშზედ გადასვენებულიყო და ხელში ეჭირა თეთრის ვარდის სურნელოვანი კონა, რომელიც ექიმის ცოლს ეფეშქაშებინა. მისი საოცარი, გიშერსავით შავი თვალები კვლავ ხეხილების მწვანე შტოებს შესცქეროდა. ოთახში ჯერ კვლავ იდგა ჩამავალ მზის სხივები. მცირე ხმაურობამ ელენეს თავი კარებისკენ მოაბრუნებინა, დაინახა თუ არა პროფესორი, ყმაწვილმა ქალმა სიხარულით ოდნავ შეჰკივლა და წამოიწია, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ მანამ ამას მოასწრებდა, უკვე მის წინ დაჩოქილი იდგა როდიცი და ხელებს უკოცნიდა.

— ელენე! ელენე! ჰბუტბუტებდა იგი აკანკალებულის ტუჩებით.

ერთს წუთს შემდეგ ბედნიერი პროფესორი ეხვეოდა და ჰკოცნიდა კიდეც თავისს ძვირფასს საცოლეს.

ამავ შესანიშნავ დღის საღამოზედ ყველანი ექიმთან იყვნენ შეკრებილნი. ემმამ თავიდგან ბოლომდე უამბო იქ მყოფთ ეს ახირებული ამბავი. ყმაწვილი ქალი ისე ლამაზად ლაპარაკობდა, მაიორი შიგა-და-შიგ ისეთ სასაცილო სიტყვებს ურთავდა, რომ ყველანი ხარხარებდნენ.

— მე, რასაკვირველია, ფიქრადაც ვერ გავიტარებდი, თუ ჩემს ხუმრობას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. მაგრამ არა უჭირს-რა, რაც მოხდა, ყველაფერი კარგად მოხდა.

ემმამ განსაკუთრებულად შეჰხედა ელენეს. ავადმყოფი-კი ყურადღებას არავის არ აქცევდა, მხოლოდ პროფესორს არ აშორებდა თვალებს.

ექიმმა გაიცინა:

— დედაკაცის ლოგიკა ეს არის, აი! თქვენი გადაკრული სიტყვები რაღასაც ამჟღავნებს. ყველაზედ მეტად-კი თქვენ დაიტანჯენით ამ საქმეში, ბ-ნო მაიორო. ცუდი ხუმრობა მოუვიდათ თქვენ მიმართ და მე რომ თქვენ ალაგას ვიყო, ადვილად არავის დავუთმობდი ასეთს საუცხოვო საცოლეს.

— ვინ იცის, რა ამბავი ასტყდებოდა, თუ... მაიორი წამოწითლდა, დაახველა და ემმას შეჰხედა.

ამ დროს იმისი თვალები ისე მჭევრმეტყველად გამოიხედებოდა, რომ ეჭვი აღარაფრისა იყო.

ემმაც წამოწითლდა და აღელვებულმა პირი მიიბრუნა. ექიმმა მხიარულად წამოიძახა:

— აა, მაშ ეგრეა საქმე! მესმის, მესმის! მაშ მომილოცავს, ბატონებო! აი, კაი ამბავი თუ გინდათ, ეს არის.

ექვსის თთვის შემდეგ გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ ელენე ელდენი და პროფესორი როდიცი და აგრეთვე ემმა ეარენი და მაიორი შნიცელი დაინიშნენო.

რამდენმამე თთვემაც გაიარა და ელენეს მშობლების სახლში ორი ქორწილი იყო გაჩაღებული.

ორიანი

— ერთი ავსტრალიელი კორესპონდენტი შემდეგს იწერება ავსტრალიაში სამართლის წარმოებისა და იქაურ ნაფიც-მსაჯულთა შესახებ: მოიწვევენ მსაჯულებს საქმის გასარჩევად, შეამწყვდევენ ცალკე ოთახში და ვიდრე სუყველანი საერთოდ ერთს აზრს არ დაადგებიან, ან არ გაამართლებენ, ან არ გაამტყუნებენ ბრალდებულს, მანამდის არც ერთს არ გამოუშვებენ ოთახიდგან და არც შინ წასვლის ნებას აძლევენ. საქმის გარჩევას ექვს-შვიდს მსაჯულზედ ნაკლები არას დროს არ შეიძლება დაესწროს და ამოდენა ხალხი ძლიერ იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ ერთმანეთს ეთანხმებოდნენ. ამიტომ საქმის გადაწყვეტა— გამტყუნება და გამართლება ყოველთვის იმის აზრზეა დამოკიდებული, რომელიც მოწვეულ მსაჯულთაგანში უფრო მომთმინოა და მაგარის ხასიათისა. აი მაგალითად, ამას წინად ერთს ქალს ასამართლებდნენ, რომელსაც შვილის მოკვლა ჰბრალდებოდა; ყველამ დამნაშავედ იცნო ბრალდებული, გარდა ერთის მსაჯულისა, მაგრამ ეს უკანასკნელი არა და არ დასთანხმდა სხვა მსაჯულებს. ისხდნენ ყველანი და შესცქეროდნენ ერთმანეთს. ბოლოს ცდისაგან მოქანცულები იძულებულნი შეიქმნენ იმ ერთს დასთანხმებოდნენ და ქალი გაემართლებინათ.

— პრუსიის ერთ-ერთს არხივში რადაც ძველი ქაღალდი უპოვნიათ, რომლიდგანაც სჩანს თურმე, რომ პრუსიის მთავრობა ზოგიერთს მძიმე დამნაშავეს ციმბირში გზავნიდა დასასახლებლად. ამ ქაღალდში წერებულა, პრუსიის მთავრობა პირობით შეეკრა რუსეთს, დამნაშავეებს გამოგიგზავნით და თქვენ ციმბირში დაასახლეთ ხოლმე, რომ სამშობლოში გამოქცევა ვეღარ მოახერხონო. 1802 წ. 17 ივნისს 57 დამნაშავე ერთად გამოუგზავნიათ პრუსიიდგან და რუსეთის მთავრობას მიუღია თუ არა, მაშინვე ციმბირში გადაუსახლებია.

— კალე—პარიჟის რკინის გზაზე ამ დღეებში საპოსტო მატარებლიდგან ორი ყუთი მოიპარეს, რომელშიაც ერთი მილიონი ფრანკი ოქროს ფული იყო. ჰფიქრობენ, ეს სწორედ ის ქურდებივე უნდა იყვნენ, რომლებმაც ამას წინად ოსტენდე-ამსტერდამის რკინის გზაზე მატარებლიდგან 750 ათასი ფრანკი მოიპარესო.

◆◆

დეპეშა

9 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესს რესკრიპტში მადლობას უხდის ხელმწიფე იმპერატორი პრინც ოლდენბურგელს იმის გამო, რომ მან სახელმწიფოს აჩუქა საექსპერიმენტო მედიცინის ინსტიტუტი. რესკრიპტში ნათქვამია, რომ თვით იმპერატორმა ჰნახა ეს ინსტიტუტი და დარწმუნდა, რომ იგი დაიჭერს ერთს საუკეთესო ადგილთაგანს იმ დაწესებულებათა შორის, რომელიც ერის ჯან-მრთელობის დასაცველად არის დაარსებულიო. გუშინ აკურთხეს ინსტიტუტი. კურთხევაზე დაესწრნენ ზოგიერთი უმაღლესნი კაცნი, მინისტრები, დიპლომატები, რუსეთისა და უცხოეთის ექიმები და მეცნიერნი.

პარიჟი. სასამართლომ გაათავა სასამართლოს ბოქაულის გუფფეს მკვლელობის საქმე. დამნაშავეებს მიესაჯათ: ეიროს სიკვდილით დასჯა და ქალს ბომპარს 20 წლით კატორგა. ჰიპნოტიზმის გავლენის საქმე სასამართლომ არ შეიწყნარა.

შტუტგარდტი. განზრახვა აქვთ შეამოკლონ ლათინურისა და ბერძნულის ენის გაკვეთილები და ამის მაგიერ განაძლიერონ სწავლება გერმანულის ენისა, მათემატიკისა, საბუნებისმეტყველო საგნებისა და ხატვისა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბერი.

	მყიდველ-ისა. მან.	კ.	გამყიდვე-ლისა. მან.	კ.	გაყიდუ-ლისა. მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	—	"	—	,	—	"
ტამოჟნის კუპონები . .	$140\frac{3}{4}$		$141\frac{1}{4}$		—	"
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1	97	1	10	—	"
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	"	—	"	239	
—მეორისა	217		—	"	—	"
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	—	"	—	"	212	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	"	—	"	—	"
ქუთაისის ბანკისა . .	—	"	—	"	—	"
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	—	"	—	"	—	

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით)

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილის ვადაზე გემები.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემის ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი
და
ხატვის ნიმუშები
შედ. ს. დათეშიძისაგან.
ფასი ხუთი შაური

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 26 ღვინობისთვეს 1890 წლ. გადასწყვიტა, დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია: 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დაინიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებასა და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიულ ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებსა და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიათინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით; მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

9) პიესები წარმოდგენილ უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალის წლის 1-ს ენკენისთვემდე.

10) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს იმათის თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნედ იცნობს.

11) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს მოკლედ იმის უმთავრესი ღირსება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს კი სასცენო ნიჭს შეამცნევს.

12) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ ის თავისს პიესას ამას იქით სცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად, ხოლო ერთის წლის შემდეგ ავტორს ნება ექნება დაბეჭდოს პიესა და გაყიდოს დაბეჭდილი თავის სასარგებლოდ.

ოქროს მედალი

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა
ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—25)

კბილი აღარავის წამოსტკივდება
თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის სააბატოში (GIRONDE)
ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ
და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული
ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—66)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12	თვეით . . .	10 მ.	— კ.		6	თვეით . . .	6 მ.	— კ.
11	„ . . .	9 „	50 „		5	„ . . .	5 „	25 „
10	„ . . .	8 „	75 „		4	„ . . .	4 „	70 „
9	„ . . .	8 „	— „		3	„ . . .	3 „	50 „
8	„ . . .	7 „	25 „		2	„ . . .	2 „	50 „
7	„ . . .	6 „	50 „		1	„ . . .	1 „	75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე— 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ , რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. цен. Тифлисъ, 10-го Декабря 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.